



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ნოე ქაშიბაძე

09 იანვარი 2020 წელი

N 1/36

ევგ.: N 1

შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის
ცენტრის – „ცხუმის“, შპს „დევნილთა
საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ბიჭვინთის“
ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და
მატერიალური ფასეულობების გამოყენების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი

ტერმინები და შემოკლებები	2
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
რეკომენდაციები	5
1. შესავალი	7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის საგანი	7
აუდიტის მასშტაბი	7
აუდიტის კრიტერიუმები	7
აუდიტის მიზანი	8
აუდიტის მეთოდოლოგია	9
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
2. აუდიტის მიგნებები	13
საკონტაქტო ინფორმაცია	23

ტერმინები და შემოკლებები

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა.

ბასს – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

დამფუძნებელი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

იგპ – იმულებით გადაადგილებული პირი.

სოციალური სააგენტო – სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო

ცენტრი „ბიჭვინთა“ – შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთა“.

ცენტრი „ცხუმი“ – შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი“.

შემაჯამებელი მიმოხილვა

შრომის ანაზღაურება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ცხუმის“, შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ბიჭვინთის“ 2015-2018 წლების ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ხელფასების გაანგარიშებისა და გაცემის ნაკლოვანებები

ცენტრის – „ცხუმის“ ხელმძღვანელობის არასათანადო კონტროლისა და ბუღალტრის მიერ დაკისრებული მოვალეობისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო, შრომის ანაზღაურების სახით ადმინისტრაციაზე გაიცა კუთვნილზე მეტი, ხოლო თანამშრომლებზე – კუთვნილზე ნაკლები თანხები. გაანგარიშებებში დაშვებული შეცდომების შედეგად თანამშრომლებს არ დაუკავდათ ხელფასიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი, რითაც, ერთი მხრივ, დაირღვა ცენტრის თანამშრომელთა კანონიერი ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, ბიუჯეტს დააკლდა კუთვნილი გადასახადი.

თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ნაკლოვანებები

მედიცინის ცენტრებში – „ცხუმის“ და „ბიჭვინთის“ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალებში უმეტეს შემთხვევაში დაფიქსირებული ნამუშევარი დრო ნაკლები იყო შინაგანაწესით დადგენილ სამუშაო დროზე. ამავდროულად არ იწარმოებოდა სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელი, რომელიც ხელფასის გაანგარიშებისა და გაცემის საფუძველია. ზემოაღნიშნული ფაქტები განპირობებული იყო ცენტრების ხელმძღვანელთა არასათანადო/შეუსაბამო კონტროლით და ქმნიდა ხელფასების არასწორად (უსაფუძვლოდ) გაანგარიშება/გაცემის რისკებს.

არაფინანსური აქტივების განკარგვა

უძრავი ქონების გამოყენების ნაკლოვანებები

ცენტრი „ბიჭვინთა“

ცენტრი „ბიჭვინთა“ ყოველგვარი კანონიერი საფუძვლისა და შესაბამისი ანაზღაურების გადახდის გარეშე, იყენებდა სახელმწიფო ფართს საკუთარი შემოსავლების მისაღებად, რის გამოც ცენტრის – „ბიჭვინთის“ ხელმძღვანელობისა და მისი დამფუძნებლის არასაკმარისი (არასათანადო) ქმედებების გამო, დაფიქსირდა სახელმწიფო ქონების არამართლზომიერი გამოყენება და ბიუჯეტში სარგებლის სახით თანხების გადაუხდელობის ფაქტები.

ცენტრი „ცხუმი“

ცენტრის – „ცხუმის“ ხელმძღვანელობის მიერ არასათანადო/შეუსაბამოდ გატარებული ღონისძიებებისა და დამფუძნებლის მხრიდან არასაკმარისი კონტროლის გამო, დაფიქსირდა სახელმწიფო ქონების შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე გამოყენების ფაქტები.

ინვენტარიზაციის პროცესში არსებული ნაკლოვანებები

ცენტრი „ბიჭვინთა“

ხელმძღვანელობისა და საინვენტარო კომისიის მხრიდან არასათანადო/შეუსაბამოდ განხორციელებული ღონისძიებების გამო, შეიქმნა ცენტრის ბალანსზე რიცხული ფასეულობების დაუცველობისა და არაეფექტიანად გამოყენების რისკები.

ცენტრი „ცხუმი“

ხელმძღვანელობის მიერ დაკისრებული მოვალეობებისადმი

	არასათანადო/შეუსაბამო დამოკიდებულების გამო, შეიქმნა ცენტრის ბალანსზე რიცხული ფასეულობების დაუცველობისა და არაეფექტიანად გამოყენების რისკები.
საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას	უნებართვოდ გაფორმებული ხელშეკრულებები ცენტრი „ბიჭვინთა“ ცენტრის – „ბიჭვინთის“ წესდებით განსაზღვრულია იმ ხელშეკრულებების შეთანხმების წესი, რომელთა ღირებულება აჭარბებს ცენტრის საწესდებო კაპიტალის 15%-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, დადგენილი წესის უგულებელყოფით (დამფუძნებლის ნებართვის გარეშე) დაფიქსირდა თანხების ხარჯვის ფაქტები, რითაც შეიქმნა ფულადი სახსრების არარაციონალურად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.
	შეუთანხმებელი სახელფასო განაკვეთები და კალკულაციები ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“ ცენტრებში – „ბიჭვინთასა“ და „ცხუმში“ ხელფასების კალკულაციები წესდების შესაბამისად არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან, რითაც წარმოიქმნა ხელფასების არამართლზომიერად გაანგარიშება/გაცემის რისკები.
ფინანსური ანგარიშგება	არასრულად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება და არასწორად ნაწარმოები ხარჯების აღრიცხვა ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“ დამფუძნებლისათვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები, არ შეიცავდა ყველა ფორმას, რის გამოც ცენტრების მიერ არასრულად და არასწორად მოხდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოებდა უშუალოდ სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას, როგორც ეს დადგენილია მოქმედი წესითა და სტანდარტებით. პირველადი დოკუმენტაციის მოგროვება წარმოებდა ერთიანად და მიმდინარე თვის დასრულების შემდგომ, ასევე ერთიანად აისახებოდა ბუღალტრული გატარებები. ცენტრების – „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ ბუღალტრების მიერ არასათანადოდ განხორციელებული ქმედებები და არასრულყოფილი კონტროლის ღონისძიებები ქმნიდა მიღებული შემოსავლების არასწორი კლასიფიკაციისა და არამართლზომიერი ხარჯვის რისკებს.
სახელმწიფო შესყიდვები	გამარტივებული შესყიდვების ნაკლოვანებები ცენტრი „ბიჭვინთა“ ცენტრის – „ბიჭვინთის“ პასუხიმგებელი პირების მათზე დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულებამ, ხელმძღვანელობის შეუსაბამო კონტროლმა და დადგენილი მონეტარული ზღვრების დარღვევით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამ, წარმოქმნა ფულადი სახსრების არამართლზომიერად გახარჯვის რისკები.
სამედიცინო დოკუმენტაცია	არასრულად წარმოებული დოკუმენტაცია ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“ ცენტრების – „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის არასწორი წარმოება-გამოყენებით და სამედიცინო ცენტრების ხელმძღვანელთა მხრიდან არასათანადო კონტროლის ღონისძიებების განხორციელებით, საბიუჯეტო სახსრები არაეფექტიანად/არამართლზომიერად დაიხარჯა და ამავდროულად დარიცხული თანხების (ჯარიმების) გამო საწარმოებს მიაღდა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1. ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“

ცენტრის – „ცხუმის“ ადმინისტრაციამ კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით აღადგინოს ზედმეტად ანაზღაურებული თანხები ცენტრის ანგარიშზე და უზრუნველყოს თანამშრომლებისათვის აუნაზღაურებელი ხელფასების კანონმდებლობის შესაბამისად გაცემა. ამასთანავე, დაზუსტდეს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები და დაკორექტირდეს ბიუჯეტის წინაშე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი.

ცენტრების – „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს თანამშრომელთა ნამუშევარი დროის აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია N2. ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“

ცენტრის – „ბიჭვინთის“ ხელმძღვანელობამ დამფუძნებელთან ერთად უზრუნველყოს უძრავი ქონების სარგებლობის მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა და სახელმწიფო ქონების კანონშეუსაბამოდ გამოყენების აღკვეთა.

ცენტრის – „ცხუმის“ ხელმძღვანელობის მიერ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები სარგებლობაში მიღებული ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია N3. ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“

კანონდებლობით განსაზღვრულ ვადებში ცენტრებში ჩატარდეს ინვენტარიზაცია და მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს აქტივებზე ქმედითი კონტროლის მექანიზმების დანერგვასა და აქტივების არამიზნობრივად გამოყენების რისკების შემცირებას.

ცენტრის – „ცხუმის“ ხელმძღვანელობამ სათანადო ღონისძიებები გაატაროს ინვენტარიზაციის შედეგების გათვალისწინებით, კერძოდ: გამოვლენილი დანაკლისების და გამოუყენებელი, არასრულფასოვანი (უვარგისი) აქტივების ჩამოწერის მიზნით შექმნას კომისია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რეკომენდაცია N4. ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“

ცენტრების – „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ ხელმძღვანელობამ, დამფუძნებელთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციებით (წესდებით) განსაზღვრული წესების დაცვას. განხილულ იქნეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა არასათანადო ქმედების გამო დაფიქსირდა წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები. დაწესდეს მკაცრი კონტროლი დამფუძნებელთან შესათანხმებელ საქმიანობაზე, რათა აქტივობები არ განხორციელდეს დადგენილი ნებართვების გარეშე.

რეკომენდაცია N5. ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“

დაწესდეს სათანადო კონტროლის მექანიზმები როგორც ბუღალტრული ოპერაციების თავისდროულ აღრიცხვაზე, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესზე, რათა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა განხორციელდეს მოქმედი ნორმატიული აქტების/სტანდარტების შესაბამისად.

რეკომენდაცია N6. ცენტრი „ბიჭვინთა“

გამკაცრდეს კონტროლი სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის პროცესებზე და დაინერგოს ისეთი ქმედითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვასა და მნიშვნელოვანი უზუსტობის რისკების შემცირებას.

რეკომენდაცია N7. ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“

საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის სწორად შედგენას/წარდგენას და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ცხუმისა“ და შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ბიჭვინთის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებდეს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ცხუმისა“ და შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ბიჭვინთის“ ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

2015-2018 წლებში ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვა და მატერიალური ფასეულობების გამოყენება.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა 2015 – 2018 წლების საქმიანობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი – საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ – (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები(ბასს));
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება N36 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის N01-19/5 ბრძანება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის ბრძანება N7 „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება N9-ი „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 31 მაისის N01/87 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ „ცხუმის“ წესდება/პარტნიორთა შეთანხმება;
- აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 3 მაისის N01/24 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ „ცხუმის“ წესდება/პარტნიორთა შეთანხმება;
- შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ „ცხუმის“ დირექტორის 2015 წლის 5 იანვრის N01/01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ „ცხუმის“ დირექტორის 2017 წლის 3 იანვრის N01/01 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
- აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს N01/120 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო ცენტრ „ბიჭვინთის“ წესდება/პარტნიორთა შეთანხმება;
- აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 3 მაისის N01/28 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო ცენტრ „ბიჭვინთის“ წესდება/პარტნიორთა შეთანხმება;
- შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ „ბიჭვინთის“ დირექტორის მიერ, 2012 წლის 27 ივლისს დამტკიცებული შინაგანაწესი;
- შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრ „ბიჭვინთის“ დირექტორის მიერ, 2017 წლის 3 მაისს დამტკიცებული შინაგანაწესი.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია

აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- სამართლებრივი რეაგირების დონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების მაგალითების შესწავლა;
- მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრები: „ცხუმი“ და „ბიჭვინთა“

ცენტრები: „ცხუმი“ და „ბიჭვინთა“ წესდების შესაბამისად ახორციელებენ: მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას და პირველად მრავალპროფილიან მომსახურებას ნებისმიერი ასაკის პაციენტისათვის, პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის დადგენის საექსპერტო მომსახურებას, პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის, სკრინინგს, არსებული რესურსების ფარგლებში ატარებენ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ გამოკვლევებს.

მედიცინის ცენტრები აწარმოებენ ჩატარებული სამედიცინო მომსახურების დოკუმენტაციის სტატისტიკურ და სააღრიცხვო-საანგარიშო ფორმებს, ატარებენ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზას და გასცემენ ყველა სახის ცნობას, რაც პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დონეზეა შესაძლებელი.

2015-2018 წლებში ცენტრების – „ცხუმისა“ და „ბიჭვინთის“ ფინანსური შედეგები (ცხრილი N1 და N2):

ცენტრების: „ცხუმისა“ და „ბიჭვინთის“ წლების მიხედვით წარმოდგენილი მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს ფინანსური შედეგების მნიშვნელოვან შემცირებას, რაც ძირითადად გამოწვეული იყო სოციალური სააგენტოს მიერ ჩატარებული შემოწმების შემდეგ ბენეფიციართა ბაზის დაზუსტებით (შემცირებით). კერძოდ, 2017-2018 წლებში ბენეფიციართა ბაზის დაზუსტებამ გამოიწვია საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში შემოსავლების შემცირება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ფინანსურ შედეგებზე და მიუხედავად ამ პერიოდის ხარჯების შემცირებისა, საბოლოო ჯამში წმინდა მოგების მაჩვენებლები მაინც საგრძნობლად გაუარესდა. კერძოდ:

- ცენტრმა „ცხუმმა“ 2015 წელსა და 2017-2018 წლებში ზარალით დაასრულა საქმიანობა. როგორც ზარალის გამომწვევი მიზეზების შესწავლით დგინდება, 2015 წელს (წინა წელთან შედარებით) უარყოფითი ფინანსური შედეგები გამოწვეული იყო შემოსავლების 4,2 ათასი ლარით შემცირებით და ხარჯების 2,9 ათასი ლარით გაზრდით. აღნიშნული არასახარბიელო ცვლილებები დაფიქსირდა საკუთარი შემოსავლებიდან (შიდა სტანდარტი) თანხების შემცირების გამო, რაც, ერთი მხრივ, ბენეფიციართა დენადობამ (დენადობის გამო შემცირდა რეგისტრირებულ ბენეფიციართა რაოდენობა), ხოლო, მეორე მხრივ, საბუღალტრო სამსახურის მიერ წინა წლის სახელფასო ხარჯების (დავალიანების) 2015 წლის პერიოდში არასწორად გატარებამ გამოიწვია.

2017-2018 წლებში მიღებული ზარალის მიზეზი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გახდა, ერთი მხრივ, საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა ბაზის დაზუსტება, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილების¹ საფუძველზე ცენტრის – „ცხუმის“ თანამშრომლისათვის განაცდურის ანაზღაურება, რის გამოც, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა სხვა გამოქვითვები – 4,8 ათასი ლარით.

- ცენტრ „ბიჭვინთაში“ 2017-2018 წლებში საქმიანობიდან მიღებული წმინდა მოგების შემცირების ძირითადი მიზეზი გახდა საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა ბაზის დაზუსტება (ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება), რამაც მიუხედავად ხარჯების შემცირებისა, მაინც იქონია არასახარბიელო გავლენა ფინანსურ შედეგებზე.

¹ ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 ივლისის განჩინება ზ. გულუასთან დაკავშირებით.

ცხრილი N 1. ინფორმაცია 2015-2018 წლებში „ცხუმის“ ფინანსური შედეგების შესახებ (ლარი)

წელი	2014	2015	2016	2017	2018	წლიური ცვლილების საშუალო ზრდა(+/-)
1. შემოსავლები	69,936	65,769	69,238	64,133	61,186	-3%
1.1 შიდა სტანდარტი ²	11,650	8,747	8,503	11,795	11,438	2%
1.2 პროგრამით ³	58,286	57,022	60,735	52,339	49,748	-4%
2. ხარჯები	67,954	70,812	67,903	65,302	65,701	-1%
2.1 ხელფასი	57,930	60,537	57,916	56,743	52,454	-2%
2.2 ელექტროენერგია და საწვავი	505	502	778	670	579	7%
2.3 სხვა გამოქვითვები	9,169	9,773	9,209	7,890	12,668	12%
2.4 მოგების გადასახადი	350	-	0	-	-	-
წმინდა მოგება	1,982	(5,043)	1,135	(1,169)	(4,515)	-98%

ცხრილი N 2. ინფორმაცია 2015-2018 წლებში „ბიჭვინთის“ ფინანსური შედეგების შესახებ (ლარი)

წელი	2014	2015	2016	2017	2018	წლიური ცვლილების საშუალო ზრდა(+/-)
1. შემოსავლები	139,898	155,408	159,128	140,735	122,794	-3%
1.1 შიდა სტანდარტი	16,181	11,730	14,768	16,778	18,440	5%
1.2 ამბულატორიული პროგრამა, საყოველთაო დაზღვევა	109,729	142,283	141,728	121,628	102,326	0%
1.3 სხვა შემოსავლები	13,231	1,395	2,632	2,329	2,028	-6%
1.4 სადაზღვევო კომპანია	757	-	-	-	-	-25%
2. ხარჯები	128,849	144,409	145,289	128,423	119,966	-1%
2.1 ნედლეული და მასალები	6,822	6,871	8,987	3,943	2,303	-17%
2.2 საწვავი	817	995	788	805	952	5%
2.3 ელექტროენერგია	1,862	2,778	2,599	2,463	2,206	7%
2.4 წყალი	300	327	465	836	2,324	77%
2.6 სხვა მატერიალური დანახარჯები	-	1,625	517	-	-	-42%
2.7 კავშირგაბმულობა	878	-	1,211	1,212	1,311	-23%
2.9 კომუნალური	748	935	1,193	979	994	9%
2.10 სამეურნეო ხარჯები	2,440	3,330	1,650	1,165	1,306	-8%
2.11 ხელფასი	104,255	118,346	116,307	105,831	97,583	-1%
2.12 მივლინება	697	565	656	563	177	-21%
2.13 ოფისის ხარჯები	762	1,183	347	503	163	-10%
2.15 ბანკის მომსახურება	296	236	192	188	199	-9%
2.16 მიმდინარე რემონტი	-	-	-	1,500	478	-17%

² ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკუთარი შემოსავლები.³ საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავლები.

2.17 ამორტიზაცია	3,600	3,424	2,739	2,965	4,900	12%
2.21 სხვა ხარჯები	3,422	1,853	5,196	3,297	4,571	34%
2.22 მოგების გადასახადი	1,950	1,941	2,442	2,173	499	
წმინდა მოგება	11,049	10,999	13,838	12,312	2,828	-16%

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შრომის ანაზღაურება

2.1.1 ხელფასების გაანგარიშება/გაცემის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შრომის ანაზღაურების გაანგარიშება უნდა მოხდეს, სამედიცინო ცენტრის – „ცხუმის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული ხელფასების კალკულაციის ნორმების მიხედვით,⁴ საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „20 პროცენტით იბეგრება რეზიდენტი ფიზიკური პირის შემოსავალი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“⁵

ფაქტობრივი გარემოება:

მედიცინის ცენტრი „ცხუმი“

ცენტრის – „ცხუმის“ თანამშრომელთა ხელფასების გაცემა ხდება შიდა სტანდარტით და საყოველთაო დაზღვევის პროგრამით მიღებული შემოსავლების მიხედვით. სახელფასო უწყისების გაანგარიშების სისწორისა და საბანკო გადარიცხვებთან შესაბამისობის ტესტირების შედეგად გამოვლინდა, რომ ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომებისა და ცენტრის ხელმძღვანელის არაჯეროვანი კონტროლის პირობებში, 2015 – 2018 წლებში კლინიკის დირექტორსა და ბუღალტერზე გაცემულია ჯამურად 1,906 ლარით მეტი, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებზე – 997 ლარით ნაკლები შრომის ანაზღაურება. ასევე ცენტრის მიერ 2015-2018 წლების ხელფასებიდან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადის ხელახალი გაანგარიშებისა და ცენტრის მიერ ამ პერიოდში წარდგენილ საშემოსავლო დეკლარაციებთან შედარების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ბუღალტრის მიერ გაანგარიშებებში დაშვებული შეცდომების გამო, თანამშრომლებს არ დაუკავდათ ხელფასიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შესაბამის დეკლარაციებში შემცირებულია 1,741 ლარით.

დასკვნა

ცენტრ „ცხუმში“ არასათანადო კონტროლისა და ბუღალტრის მიერ დაშვებული შეცდომების გამო, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ არის წარდგენილი 2015-2018 წლების საშემოსავლო გადასახადის თანხები და არასწორადაა შემცირებული 1,741 ლარით. ამავდროულად, სახელფასო უწყისების გაანგარიშების უზუსტობები და შეუსაბამოები მიუთითებს სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელობის დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულებასა და ბუღალტრების მიერ არაჯეროვნად განხორციელებულ კონტროლის ღონისძიებებზე.

2.1.2 თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ცენტრ „ცხუმის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად,⁶ სამუშაო დრო განსაზღვრულია 8-საათიანი სამუშაო დღით, ხოლო „ბიჭვინთის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის შესაბამისად,⁷ სამუშაო დრო განსაზღვრულია 7-საათიანი სამუშაო დღით.

ფაქტობრივი გარემოება:

მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთა“

ცენტრში 2015-2018 წლების თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის ჟურნალში თითოეული თანამშრომლის სამუშაო ადგილზე გამოცხადების ან დატოვების შესაბამისად კეთდება ჩანაწერი, დროის, თარიღისა და ხელმოწერის მითითებით. თუმცა ფაქტობრივი მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ჟურნალში

⁴ „ბიჭვინთის“ დირექტორის 2012 წლის 28 სექტემბრის ბრძანება N25.

⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 79-ე მუხლის „ა“ პუნქტი, მე-80 მუხლის პირველი პუნქტი, 81-ე მუხლის პირველი პუნქტი, 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁶ „ცხუმის“ დირექტორის 2017 წლის 3 იანვრის ბრძანება N01/01 დამტკიცებული შინაგანაწესის მე-18 მუხლის 1-5 პუნქტები.

⁷ „ბიჭვინთის“ დირექტორის 2017 წლის 3 მაისის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-20 მუხლის 1-4 პუნქტები.

დაფიქსირებული ნამუშევარი დრო ნაკლებია შინაგანაწესით დადგენილ სამუშაო დროზე. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია ცენტრის სამუშაოს სპეციფიკურობით, კერძოდ, ექიმები მომსახურებას უწევენ როგორც უშუალოდ კლინიკაში მყოფ პაციენტებს ასევე ახორციელებენ გასვლებს უბნებში (ბინაზე), რაც კონკრეტული შემთხვევის შესაბამისად შეთანხმებულია ცენტრის დირექტორთან, თუმცა აღნიშნულის დასადასტურებლად სიტყვიერი განმარტების გარდა სხვა ტიპის დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, აღნიშნული ფაქტები აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ დადასტურდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მიერ 2015-2018 წლებში არ იწარმოებოდა სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი, რომელიც ხელფასის გაანგარიშებისა და გაცემის საფუძველია. ზემოაღნიშნული განპირობებულია ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ არასათანადო/შეუსაბამო კონტროლით, რითაც იქმნება ხელფასების უსაფუძვლოდ გაანგარიშება/გაცემის რისკები.

მედიცინის ცენტრი „ცხუმი“

ცენტრის 2015-2018 წლების თანამშრომელთა სამსახურში მოსვლა-წასვლის აღრიცხვის ჟურნალში მხოლოდ ხელმოწერებია და არ არის მითითებული სამსახურში გამოცხადების/გასვლის დრო. თუმცა ფაქტობრივი მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ჟურნალში დაფიქსირებული ნამუშევარი დრო არ შეესაბამება შინაგანაწესით დადგენილ სამუშაო დროს, ხოლო მიღებული სხვაობების დასაბუთების მიზნით ცენტრში არ ფიქსირდება არანაირი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც თანამშრომლის საპატიოდ აღიარებულ სამუშაო დროს ან უნებართვოდ გამოყენებულ სამუშაო საათებს დაადასტურებდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მიერ 2015-2018 წლებში არ იწარმოებოდა სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი, რომელიც ხელფასის გაანგარიშებისა და გაცემის საფუძველია. ზემოაღნიშნული ფაქტებით იქმნება ხელფასების უსაფუძვლოდ გაანგარიშება/გაცემის რისკები.

დასკვნა

სამედიცინო ცენტრების – „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ ხელმძღვანელობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა შრომის დისციპლინის დაცვას და ყოველდღიური სამუშაო დროის ზუსტ აღრიცხვა/კონტროლს, რაც კონტროლის არასათანადო ფუნქციონირებაზე მიუთითებს და შრომის ანაზღაურების არასწორად აღრიცხვის მაღალი რისკის შემცველია.

რეკომენდაცია N1

„ცხუმის“ ადმინისტრაციამ კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით აღადგინოს ზედმეტად ანაზღაურებული თანხები ცენტრის ანგარიშზე და უზრუნველყოს თანამშრომლებისათვის ანაზღაურებელი ხელფასების კანონმდებლობის შესაბამისად გაცემა. ამასთანავე, დაზუსტდეს საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები და დაკორექტირდეს ბიუჯეტის წინაშე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი.

„ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს თანამშრომელთა ნამუშევარი დროის აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას და ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

2.2 არაფინანსური აქტივების განკარგვა

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,⁸ „სახელმწიფო ქონება სარგებლობაში გადაიცემა ვადით ან უვადოდ, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის ფორმით ან მის გარეშე,“ ასევე „უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს იმ სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ,

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, 33-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

2.2.1 უძრავი ქონების გამოყენების ნაკლოვანებები

ფიზიკურმა პირმა, საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება.“

ფაქტობრივი გარემოება:

მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთა“

ცენტრი 2015-2018 წლებში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა ქ. ქუთაისში, ო. ჩხოვაძის ქ. N16-ში მდებარე შენობის მესამე სართულზე (დაკავებული ფართი: 512 კვ.მ). მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის პერიოდში აღნიშნული შენობა (ფართი) ირიცხებოდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში და შპს „ქუთაისის N5 მოზრდილთა პოლიკლინიკის“ სარგებლობაში, მედიცინის ცენტრი ყოველგვარი კანონიერი საფუძვლისა და შესაბამისი ანაზღაურების გადახდის გარეშე, იყენებდა მას ეკონომიკური საქმიანობისათვის. აღსანიშნავია, რომ ცენტრის ხელმძღვანელობამ ფართის გადმოცემის მიზნით, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შუამდგომლობისათვის ხუთჯერ მიმართა დამფუძნებელს, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია და საკითხი სამართლებრივად დღემდე მოუგვარებელია.

მედიცინის ცენტრი „ცხუმი“

ცენტრი 2015-2018 წლებში განთავსებული იყო ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, „გ“ ზონაში, სოხუმის ქუჩის N22-ში მდებარე შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შენობა და მიწა ცენტრს გადაეცა აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 12 ოქტომბრის N01/122 ბრძანების შესაბამისად და ირიცხებოდა ცენტრის ბალანსზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცენტრი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში აღნიშნული ქონების მოსარგებლედ, მაშინ როდესაც, იგი ვალდებული იყო გადაეცემული ქონება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაერეგისტრირებინა საჯარო რეესტრში. ზემოაღნიშნული გამოწვეული იყო ცენტრის ხელმძღვანელობის უმოქმედობითა და დამფუძნებლის არასათანადო კონტროლით.

დასკვნა

მიუხედავად ცენტრის --- „ბიჭვინთის“ მხრიდან განხორციელებული მცდელობებისა, ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად ცენტრის მიერ სახელმწიფო ქონების უკანონო გამოყენებაზე.

ცენტრის - „ცხუმის“ ხელმძღვანელობის უმოქმედობისა და დამფუძნებლის არასათანადო კონტროლის გამო, არ მოხდა უძრავი ქონების კანონის შესაბამისად საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

რეკომენდაცია N2

ცენტრის - „ბიჭვინთის“ ხელმძღვანელობამ დამფუძნებელთან ერთად უზრუნველყოს უძრავი ქონების სარგებლობის მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევა და სახელმწიფო ქონების კანონშესაბამოდ გამოყენების აღკვეთა.

ცენტრის - „ცხუმის“ ხელმძღვანელობის მიერ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები სარგებლობაში მიღებული ქონების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

კრიტერიუმი: საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით,⁹ „ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა სამეურნეო წლის ბოლოს, გარდა იმ ქონებისა და

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-16 მუხლი.

2.2.2 ინვენტარიზაციის პროცესში არსებული ნაკლოვანებები

ვალდებულებებისა, რომელთა სრული ან ნაწილობრივი ინვენტარიზაციაც ჩატარებულია სამეურნეო წლის დასასრულამდე სამი თვის განმავლობაში.“ ასევე „ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობები ფაქტობრივ ნაშთებსა და ბუღალტრულ მონაცემებს შორის დაეწერებათ დამნაშავე პირებს (იდენტიფიცირების შემთხვევაში) ან ჩამოიწერება ცენტრის ფინანსურ შედეგებზე.“

ფაქტობრივი გარემოება:

მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთა“

ცენტრ „ბიჭვინთაში“ 2015-2018 წლებში ინვენტარიზაციის ჩატარებაზე გამოიცემოდა დირექტორის შესაბამისი ბრძანებები, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ფაქტობრივად ჩატარებული ინვენტარიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც ხელმძღვანელობისა და საინვენტარიზაციო კომისიის მხრიდან არასათანადოდ/შეუსაბამოდ განხორციელებულ ღონისძიებებზე მიუთითებს. აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფი დაესწრო ინვენტარიზაციის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ინვენტარიზაციის შედეგად ბუღალტრულ მონაცემებსა და ფაქტობრივ ნაშთებს შორის არსებითი გადახრები არ გამოვლენილა, 2015-2018 წლების ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის არარსებობა მიუთითებს მოქმედი საკანონმდებლო ნორმების მოთხოვნების დაუცველობასა და კონტროლის სისუსტეებზე.

მედიცინის ცენტრი „ცხუმი“

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში დირექტორის ბრძანებით,¹⁰ ინვენტარიზაცია ჩატარდა პოლიკლინიკის აქტივებს, რა დროსაც გამოვლინდა უმნიშვნელო დანაკლისი და ზედმეტობა. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015-2018 წლებში ცენტრში არ ჩატარებულა აქტივების ინვენტარიზაცია, რაც ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე მიუთითებს და აქტივების დატაცების რისკებს წარმოშობს.

დასკვნა

ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესის ნაკლოვანებები მიუთითებს ცენტრების – „ბიჭვინთის“ და „ცხუმის“ ხელმძღვანელობის მხრიდან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების უგულვებელყოფაზე, ინვენტარიზაციის პროცესში არსებულ მნიშვნელოვან შეუსაბამობებსა და აქტივებზე კონტროლის მექანიზმების არარსებობაზე.

რეკომენდაცია N3

კანონდებლობით განსაზღვრულ ვადებში ცენტრებში ჩატარდეს ინვენტარიზაცია და მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს აქტივებზე ქმედითი კონტროლის მექანიზმების დანერგვასა და აქტივების არამიზნობრივად გამოყენების რისკების შემცირებას.

ცენტრის – „ცხუმის“ ხელმძღვანელობამ სათანადო ღონისძიებები გაატაროს ინვენტარიზაციის შედეგებზე, კერძოდ: გამოვლენილი დანაკლისების და გამოუყენებელი, არასრულფასოვანი (უვარგისი) აქტივების ჩამოწერის მიზნით, შექმნას კომისია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.3 საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

კრიტერიუმი: სამედიცინო ცენტრის – „ბიჭვინთის“ წესდების¹¹ შესაბამისად, „იმ ხელშეკრულებების დადების შესახებ გადაწყვეტილილების მიღება, რომელთა ღირებულება ცალ-ცალკე ან მთლიანად აღემატება საწესდებო კაპიტალის 15 პროცენტს, შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.“

¹⁰ 2019 წლის 16 სექტემბრის N01/13 ბრძანება.

¹¹ აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 3 მაისის N01/28 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევენილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ბიჭვინთის“ წესდება მე-5 მუხლის 5.7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

2.3.1 უნებართვოდ გაფორმებული ხელშეკრულებები

ფაქტობრივი გარემოება:

ცენტრის – „ბიჭვინთის“ წესდებით განსაზღვრულია იმ ხელშეკრულებების შეთანხმების წესი, რომელთა ღირებულება აჭარბებს ცენტრის საწესდებო კაპიტალის 15%-ს (2,712 ლარი). მიუხედავად აღნიშნულისა, ცენტრის მიერ:

- 2015 წელს სახელმწიფო შესყიდვებით დადებული 28 ხელშეკრულებიდან, საერთო ღირებულებით – 29,658.5 ლარი, არცერთი არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან. შესაბამისად, წესდების მოთხოვნების გაუთვალისწინებლად მომწოდებლებთან გაფორმდა ჯამში – 26,973.5 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები;
- 2016 წელს სახელმწიფო შესყიდვებით დადებული 26 ხელშეკრულებიდან, საერთო ღირებულებით – 33,720.02 ლარი, არცერთი არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან. შესაბამისად, წესდების მოთხოვნების გაუთვალისწინებლად მომწოდებლებთან გაფორმდა ჯამში – 31,008.02 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები;
- 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვებით დადებული 28 ხელშეკრულებიდან, საერთო ღირებულებით – 24,305.69 ლარი, არცერთი არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან. შესაბამისად, წესდების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე მომწოდებლებთან გაფორმდა ჯამში – 21,593.69 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები;
- 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვებით დადებული 32 ხელშეკრულებიდან, საერთო ღირებულებით – 18 846.65 ლარი, არცერთი არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან. შესაბამისად, წესდების მოთხოვნების გაუთვალისწინებლად მომწოდებლებთან გაფორმდა ჯამში – 16,134.65 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები.

ამრიგად, დაფიქსირდა დადგენილი წესის უგულებელყოფით, დამფუძნებლის ნებართვის გარეშე, 95,709.89 ლარის ხარჯვის ფაქტები, რაც წარმოქმნის აღნიშნული თანხების არარაციონალურად და არაეფექტიანად გამოყენების რისკებს.

2.3.2 შეუთანხმებელი სახელფასო განაკვეთები და კალკულაციები

კრიტერიუმი: სამედიცინო ცენტრების „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ წესდებათა¹² მიხედვით, „ცენტრმა დამფუძნებელთან უნდა შეთანხმოს: საზოგადოების მართვის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, წლიური ხარჯთაღრიცხვა, შრომის ანაზღაურებისა და პრემიების პირობები.“

ფაქტობრივი გარემოება:

სამედიცინო ცენტრები: „ბიჭვინთა“ და „ცხუმი“

ცენტრებში – „ბიჭვინთისა“ და „ცხუმში“ ხელფასები გაიცემოდა დირექტორების მიერ ბრძანებით დამტკიცებული შრომის ანაზღაურების კალკულაციის ნორმების მიხედვით, თუმცა აღნიშნული კალკულაციები ცენტრების წესდების შესაბამისად არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან, რის გამოც წარმოიქმნა ხელფასების არამართლზომიერად გაანგარიშება/გაცემის რისკები.

ცენტრების მიერ, დამფუძნებლის მხრიდან არასათანადო კონტროლის პირობებში, დაირღვა წესდებით გათვალისწინებული დამფუძნებელთან შეთანხმების წესი, რაც მიმდინარე საოპერაციო საქმიანობაში არსებული მართვის სისუსტეებზე, სახსრების ნებართვის გარეშე ხარჯვასა და როგორც ცენტრების ხელმძღვანელობის, ისე დამფუძნებლის მხრიდან კონტროლის არაეფექტიანობაზე მიუთითებს.

დასკვნა

¹² აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 3 მაისის N01/24 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრის – „ცხუმის“ წესდების მე-5 მუხლის 5.7 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი; აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 3 მაისის N01/28 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დევნილთა საოჯახო ცენტრის – „ბიჭვინთის“ წესდების მე-5 მუხლის 5.7 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

რეკომენდაცია N4

ცენტრების: „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ ხელმძღვანელობამ, დამფუძნებელთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციებით (წესდებით) განსაზღვრული წესების დაცვას. განხილულ იქნეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა არასათანადო ქმედების გამო დაფიქსირდა წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტები. დაწესდეს მკაცრი კონტროლი დამფუძნებელთან შესათანხმებელ საქმიანობაზე, რათა აქტივობები არ განხორციელდეს დადგენილი ნებართვების გარეშე.

2.4 ფინანსური ანგარიშგება

2.4.1 არასრულად
წარდგენილი ფინანსური
ანგარიშგება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „აფხაზეთის ა/რ მიერ 100%-იანი წილის მქონე კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა ფინანსური ანგარიშგების ფორმები უნდა წარადგინონ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით.“¹³

ფაქტობრივი გარემოება:

ცენტრების: „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ მიერ დამფუძნებლისათვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით (ბასს 1 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა) გათვალისწინებულ ყველა ფორმას. კერძოდ, ანგარიშგებებში არ არის წარდგენილი „პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება“ და „განმარტებითი შენიშვნები“, სადაც განხილული უნდა იყოს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი ინფორმაცია.

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმებიდან, 2015 – 2018 წლებში, ცენტრ „ბიჭვინთას“ წარდგენილი არა აქვს ფორმა N5 – „ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“, ხოლო ცენტრ „ცხუმს“ არა აქვს წარდგენილი ფორმა N3/1 – „წინა საგემო და საანგარიშო წლების კვარტლის გეგმის შესრულების შედარება“ და ფორმა N5 – „ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრების მიერ არასრულად და არასწორად მოხდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, რითაც დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და რაც არ იძლევა ინფორმაციის სწორად (რეალურად) აღქმის შესაძლებლობას.

დასკვნა

ცენტრებში: „ბიჭვინთასა“ და „ცხუმში“ ფინანსური ანგარიშგებების შედგენისა და წარდგენის კუთხით ფიქსირდება ცენტრების ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულება და ხელმძღვანელობის მხრიდან სუსტი კონტროლი, რაც წარმოშობს დამფუძნებლისათვის არასწორი/არასრული ფინანსური ინფორმაციის მიწოდებისა და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის რისკებს.

2.4.2 ხარჯების აღრიცხვის
ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმის შესაბამისად,¹⁴ „ეკონომიკური მოვლენები ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება ორმაგი ჩაწერის პრინციპის შესაბამისად. ეკონომიკური მოვლენა ბუღალტრულ აღრიცხვაში მოხდენისთანავე აისახება. იგი ასევე აისახება იმ პერიოდის შესაბამის მაგროველ დოკუმენტებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც მიეკუთვნება აღნიშნული მოვლენა.“

ფაქტობრივი გარემოება:

¹³ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 29 დეკემბრის №01/104 ბრძანებით დადგენილი დანართების მიხედვით.

¹⁴ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი.

ცენტრებში: „ბიჭვინთასა“ და „ცხუმში“ 2015 – 2018 წლების ბუღალტრული აღრიცხვის პროცესებისა და დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა, რომ ბუღალტრული აღრიცხვა არ წარმოებს ოპერაციების განხორციელების მომენტში, როგორც ეს დადგენილია საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი კანონმდებლობითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. არამედ, მომხდარი ოპერაციების შედეგად მიღებული პირველადი დოკუმენტაცია გროვდება და მიმდინარე თვის დასრულების შემდგომ, ბუღალტრების მიერ დაგროვილი დოკუმენტების შესაბამისად, ხორციელდება ბუღალტრული გატარებების ასახვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრების მიერ მატერიალური მარაგების (ე.წ. საბრუნავი საშუალებების) აღრიცხვა არ ხდება სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, მიღებული მატერიალური მარაგები მიღებისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში, რაც აღრიცხვის უზუსტობებსა და არასწორი კლასიფიკაციის მნიშვნელოვან რისკებს წარმოშობს.

ზემოაღნიშნული გარემოებები, ცენტრებში: „ბიჭვინთასა“ და „ცხუმში“ ბუღალტრული აღრიცხვის კონტროლის მექანიზმების მნიშვნელოვან პრობლემებზე მიანიშნებს, რაც გამოწვეულია ცენტრების ხელმძღვანელობისა და ბუღალტრების მიერ არასათანადოდ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებებითა და დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებით.

დასკვნა

ცენტრების: „ბიჭვინთისა“ და „ცხუმის“ ბუღალტრების მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება და არასათანადოდ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები ქმნის მიღებული შემოსავლების არასწორი კლასიფიკაციისა და არამართლზომიერი ხარჯვის რისკებს.

რეკომენდაცია N5

დაწესდეს სათანადო კონტროლის მექანიზმები როგორც ბუღალტრული ოპერაციების თავისდროულ აღრიცხვაზე, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესზე, რათა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა განხორციელდეს მოქმედი ნორმატიული აქტების/სტანდარტების შესაბამისად.

2.5 სახელმწიფო შესყიდვები 2.5.1 გამარტივებული შესყიდვების განხორციელების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,¹⁵ „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ერთი წყაროდან ფინანსდება. ამასთანავე, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა ამ კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრების შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებისა და ვადების გამოყენებისათვის და სხვა მოთხოვნების შესრულებისათვის თავის არიდების მიზნით.“ ასევე „შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მომდევნო წლის შესყიდვების წლიური გეგმა უნდა წარუდგინოს სააგენტოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, რის შემდეგაც შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია დაიწყოს მომდევნო წლისათვის/წლებისათვის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.“

ფაქტობრივი გარემოება:

ცენტრის – „ბიჭვინთისა“ მიერ 2015 – 2018 წლებში განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შესყიდვების ხელოვნური დაყოფის ფაქტები. კერძოდ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაუცველად განხორციელდა:

¹⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მე-9 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები და 3¹ პუნქტი.

- 2015 წელს – 6,400 ლარის ჯამური სახელმწიფო დირებულების 85100000 დანაყოფის კოდით¹⁶ გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვები;
- 2016 წელს – 8,900 ლარის ჯამური სახელმწიფო დირებულების 85100000 დანაყოფის კოდით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვები;
- 2017 წელს – 6,900 ლარის ჯამური სახელმწიფო დირებულების 85100000 დანაყოფის კოდით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვები.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განხორციელდა რამდენიმე შესყიდვად და იგი დაფინანსდა ერთი წყაროდან, შესაბამისად, ფიქსირდება სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობით. გარდა ამისა, განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით მომწოდებელი იურიდიული პირების¹⁷ შესახებ ინფორმაციის შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული მომწოდებლები განთავსებული იყვნენ იმავე შენობაში, სადაც საქმიანობას ეწეოდა ცენტრი „ბიჭვინთა“. ამასთანავე, ერთ-ერთი მომწოდებელი (შპს „ქუთაისის მოზრდილთა N5 პოლიკლინიკა“) გახლდათ იმ შენობის კანონიერი მოსარგებლე, რომლის ფართზეც ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას ცენტრი „ბიჭვინთა“.

ამრიგად, ზემოაღწერილი ქმედებებით დასტურდება მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა, (რაც დაფიქსირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილებში¹⁸) და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტისა და მონეტარული ზღვრების დარღვევის პირობებში, იქმნება სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

დასკვნა

ცენტრის – „ბიჭვინთის“ პასუხიმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობებისადმი არასათანადო დამოკიდებულებამ, ხელმძღვანელობის შეუსაბამო კონტროლმა და დადგენილი მონეტარული ზღვრების დარღვევით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებამ წარმოქმნა მიღებული სახსრების არამართლზომიერად ხარჯვის რისკები.

¹⁶ ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები (სავადმყოფოს და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

¹⁷ შპს „ქუთაისის N3 ქალთა კონსულტაცია“ და შპს „ქუთაისის მოზრდილთა N5 პოლიკლინიკა“.

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 17 იანვრის N292 და 7 თებერვლის N638 წერილები.

რეკომენდაცია N6

გამკაცრდეს კონტროლი სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის პროცესებზე და დაინერგოს ისეთი ქმედითი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვებში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვასა და მნიშვნელოვანი უზუსტობის რისკების შემცირებას.

2.6 სამედიცინო დოკუმენტაცია

2.6.1 არასრულად წარმოებული დოკუმენტაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,¹⁹ „საყოველთაო დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული გეგმური ამბულატორიული მომსახურებისათვის არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მოსარგებლედ ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის მიმწოდებელთან.“ ამასთანავე, „პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებმა პროგრამის მოსარგებლეთა რეგისტრაცია უნდა განახორციელონ მხოლოდ მოსარგებლის თანხმობის (დადგენილი წესით) საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს მოსარგებლის ან არასრულწლოვნის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის²⁰ ხელმოწერით.“ ასევე „მკაცრი აღრიცხვის ფორმები ცენტრისა და მომსახურების მიმწოდებლის მიერ ექვემდებარება სპეციალურ ჟურნალში აღრიცხვას.“

ფაქტობრივი გარემოება:

სამედიცინო ცენტრი „ბიჭვინთა“

2017 წელს²¹ ცენტრის – „ბიჭვინთის“ საქმიანობა შეამოწმა სსიპ – სოციალურმა სააგენტომ და შემოწმების აქტით²² დაწესებულება დაჯარიმდა 48,327.10 ლარით, რის შემდგომაც, აქტი „ბიჭვინთამ“ გაასაჩივრა ადმინისტრაციული წესით.²³ თუმცა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხილული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საჯარიმო სანქცია შემცირდა მხოლოდ 3,432.72 ლარით. დარჩენილი ჯარიმის თანხა – 44,894.38 ლარი, ცენტრმა გადაიხადა 2018 წლის იანვარ-აგვისტოში. ზემოაღნიშნული დაჯარიმების ფაქტი გამოიწვია „ბიჭვინთის“ მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის არასათანადო წარმოებამ/გამოყენებამ და ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებულმა არასათანადო კონტროლის ღონისძიებებმა.

სამედიცინო ცენტრი „ცხუმი“

ცენტრი „ცხუმი“ 2015 – 2018 წლებში საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენის შესაბამისად იღებდა შემოსავლებს. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს აქტის²⁴ შესაბამისად, ცენტრი დაჯარიმდა 49,428.23 ლარით. კერძოდ, აღნიშნული თანხის დარიცხვის საფუძველი გახდა არასწორად/არასრულად წარმოებული ბენეფიციართა მკაცრი აღრიცხვის სარეგისტრაციო ფორმები, სამედიცინო სარეგისტრაციო ჟურნალები და სამედიცინო ბარათები. პირველად ზემოაღნიშნული აქტი გასაჩივრდა სააგენტოში, თუმცა უშედეგოდ. შესაბამისად, ცენტრმა „ცხუმმა“ მიმართა სასამართლოს, რომელიც 2018 წლის ბოლომდე მიმდინარეობდა. 2019 წელს ცენტრმა აღნიშნული საჩივარი უკან გამოითხოვა, რადგან 2019 წლის საქართველოს მთავრობის N66 დადგენილებით გაუქმდა დამატებით ფინანსური სანქციები და ჯარიმები, ხოლო სამედიცინო

¹⁹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილება N36 „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, 23-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 2 აგვისტოს N01-50/ნ ბრძანება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მარტის N01-19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, მე-5 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები.

²⁰ მშობელი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეურვე ან მზრუნველი და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა კანონიერი წარმომადგენელი.

²¹ 2017 წლის 1 ივნისის N04/35175 წერილი.

²² 2017 წლის 1 დეკემბრის N2017/01/12.

²³ 2018 წლის 23 იანვრის N06 და 2018 წლის 8 თებერვლის N11 წერილები.

²⁴ 2016 წლის 21 ოქტომბრის N08/2016.

დასკვნა

ცენტრებს დაეკისრათ მხოლოდ ძირითადი თანხის (ცენტრ „ცხუმის“ შემთხვევაში – 11,432 ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენა.

ცენტრების: „ცხუმისა“ და „ბიჭვინთის“ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულებამ, ამავდროულად ცენტრის ხელმძღვანელობის მხრიდან სუსტი კონტროლის გამო, განხორციელდა საბიუჯეტო სახსრების არასათანადო/არამართლზომიერი ხარჯვა და ამავდროულად დარიცხული ჯარიმების გამო, საწარმოებს მიაღდა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი..

რეკომენდაცია N7

საყოველთაო დაზღვევის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის სწორად შედგენას/წარდგენას და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

აუდიტორები**ხელმოწერა**

მიხეილ გოდოლაძე

აუდიტორი

ეთერ კაცაძე

აუდიტორი

საბა გაწერელია

აუდიტორ-ასისტენტი



საკონტაქტო ინფორმაცია**ვებგვერდი და
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38